ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის დასახელება: ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოსოფიის დოქტორი ეკონომიკაში (PhD in Economics)

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი იური ანანიაშვილი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- **<u>მიზანი:</u>**

პროგრამა განკუთვნილია მაღალკვალიფიციური ფართო პროფილის სპეციალისტის მომზადებისათვის, რომლიც ფლობს სიღრმისეულ ცოდნას ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის სფეროში და უნარი შესწევს თანამედროვე რაოდენობრივი ანალიზის მეთოდებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით განახორციელოს გამოყენებითი და თეორიული კვლევა კონკრეტულ სიტუაციებში ეკონომიკური ანალიზისათვის, პროგნოზირებისათვის, გადაწყვეტილების მიღებისათვის. ასეთი სპეციალისტის მომზადების საჭიროება განპირობებულია არა კონიუნქტურით, რომელიც ცვალებადია, არამედ ობიექტური აუცილებლობით, ვინაიდან მაღალი პროფესიონალიზმის სპეციალისტ-ანალიტიკოსებს, რომლებიც ფლობენ ეკონომიკურ თეორიას და სისტემური ანალიზის ზუსტ მეთოდებთან შეხამებულად თანამედროვე ინსტრუმენტულ და პროგრამულ საშუალებებს, შეუძლიათ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, როგორც პრობლემის დაყენება, ისე გადაწყვეტა და შესრულების ორგანიზაცია.

- **<u>შედეგი:</u>**

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს მაღალხარისხოვანი მომზადება როგორც ზოგადთეორიულ, ისე გამოყენებით ეკონომიკურ და ეკონომიკურ-მათემატიკურ დისციპლინებში. კერძოდ, მაკროეკონომიკის, მიკროეკონომიკის, ეკონომეტრიკის, სისტემური ანალიზის, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდების და ა. შ. წინ წასული კურსების საფუძვლიანი ცოდნა დოქტორანტს საშუალებას აძლევს განახორციელოს ეკონომიკური პროცესების თვისობრივი ანალიზი, მათში არსებული რაოდენობრივი კანონზომიერებების დადგენა, შეფასება და რაციონალური (ოპტიმალური) გადაწყეტილებების გამომუშავება როგორც ცნობილ, ისე ახალ და უცნობ გარემოში.

- <u>დასაქმების სფეროები</u>:

პროგრამის კურსდამთავრებული ფართო პროფილის სპეციალისტია, რომელსაც შეუძლია იმუშაოს ყველა იმ კერძო და სახელმწიფო სტრუქტურაში, სადაც მოითხოვება ანალიტიკური აზროვნება და ეკონომიკის, მათემატიკის, სტატისტიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების შეხამებული ცოდნა ეკონომიკურ და მენეჯერულ საქმიანობასთან დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების შეფასებისათვის (ანალიზისათვის), პროგნოზირებისათვის და გადაწყვეტილებების შემუშავებისათვის. ასეთი შეიძლება იყოს:

– ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო-კლევითი და სასწავლო დაწესებულებები;

– ფირმების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საინვესტიციო ფონდების და სხვა კერძო ეკონომიკური სტრუქტურების ანალიზის, განვითარების, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და მარკეტინგის განყოფილებები;

– სახელმწიფო, რეგიონული და მუნიციპალური მართვის ორგანოები.

- <u>პროგრამაზე მიღების წინაპირობები</u>:

პროგრამაზე მიღების პირობები განსაზღვრულია თსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 აპრილის დადგენილების "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ" შესაბამისად **(ob.http://www.tsu.ge/docs/doqtoranturis%20debuleba.asp)** და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭის დებულებით .ამასთან ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა გააჩნდეს ეკონომიკის, მათემატიკის ან ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი. ამასთან, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ მსურველს, რომელმაც მაგისტრის ხარისხი მიიღო ეკონომიკური კიბერნეტიკის, ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების, მათემატიკური ეკონომიკის სპეციალობების (ან სპეციალიზაციების) დამთავრების შემდეგ.